კრეატიული აზროვნება – ინსტიტუციური ინოვაციების საწინდარი

ტასო გეთაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: tasogetashvili@hotmail.com

რეზიუმე

თანამედროვე ქვეყნების ეკონომიკაში ინოვაციის როლი მნიშვნელოვნადაა გაიზრდილი და ერთ-ერთი პირველხარისხოვანიც გახდა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში იგი კონკურენციის უპირველეს იარაღს წარმოადგენს.

საზოგადოება დგას ალტერნატივის წინაშე, საბაზრო და საზოგადოებრივ დოვლათს შორის. მაქსიმალური სარგებლიანობის მისაღწევად საჭიროა ორივე დოვლათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რაც სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ოპტიმალური თანაფარდობით მიიღწევა. ქვეყანაში ინსტიტუტუციური სექტორის როლი და ფუნქციები მრავალფეროვნებით გამოირჩევა. სწორად შერჩეული და განხორციელებული ღონისძიებების შედეგები კი საბოლოოდ აისახება საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ ყოფაზე.

საკვანძო სიტყვები: სოციალური საწარმო, ეკონომიკის განვითარება, ინოვაცია, ინსტიტუციური სიახლეები, სოციალური შედეგები.

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის კონკურენტუნატიანობისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, გრძელვადიან პერსპექტივაში არის ეკონომიკის განვითარების ფუნდამენტური მიზნის არსებობა. ეს წარმოგვიდგება, როგორც მისი რეალური ღირებულების ზრდა და ამ მიზნის მიღწევაზე ორიენტირებული მართვის ეფექტიანი სისტემა. ეკონომიკის ისტორია ცხადყოფს, რომ ახალი ღირებულების შექმნის დადებითი დინამიკა უზრუნველყოფს ეკონომიკის გრძელვადიან და მდგრად ფუნქციონირებას, ხელს უწყობს საზოგადოების კეთილდღეობის ზრდასა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ქვეყნის ეკონომიკაში დადებითი ძვრები, მდგრადი ეკონომიკური განვითარება იწვევს უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდას. საკრედიტო, სადაზღვევო და საიჯარო ურთიერთობების დახვეწამ, უძრავი ქონების ბაზრის მზარდმა განვითარებამ, საინვესტიციო გარემოს გააქტიურებამ წარმოშვა კრეატიული აზროვნების განვითარების მოთხოვნა. კრეატიულობა შემოქმედების განუყოფელი ნაწილია – აქ გამოიყენება კრიტიკული აზროვნებაც, რათა შევაფასოთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი კრეატიული იდეები სხვადასხვა სფეროსთან მიმართებაში. კრეატიული აზროვნების შედეგი ეკონომიკაში გვხვდება „ინოვაციის" სახით.[1]

„ინოვაცია", როგორც ახალი ეკონომიკური კატეგორია,სამეცნიერო ლიტერატურაში შემოიტანა ავსტრიელმა (მოგვიანებით ამერიკელმა) მეცნიერმა იოზეფ ალიოზ შუმპეტერმა (1883-1950) XX საუკუნის დასაწყისში. თავის ნაშრომში "ეკონომიკური განვითარების თეორია" (1911 წ.) იგი განიხილავდა განვითარებაში ცვლილებების შეტანის (ინოვაციის) საკითხებს. ამ ცვლილებებიდან მან გამოყო:

1. ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიური პროცესების ან წარმოების ახალი საბაზრო უზრუნველყოფის გამოყენება; 2. ახალი თვისებების მქონე პროდუქციის დანერგვა; 3. ახალი ნედლეულის გამოყენება; 4. ცვლილებები წარმოების ორგანიზაციაში და მის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში; 5. გასაღების ახალი ბაზრების პოვნა.

ი. შუმპეტერი ფიქრობდა, რომ ინოვაცია არის მოგების მთავარი წყარო: "მოგება არსებითად წარმოადგენს ახალი კომბინაციების შესრულების შედეგს", "განვითარების გარეშე არ არის მოგება, მოგების გარეშე არ არის განვითარება".[2]

[1] თოთლაძე ლ., ბიზნესის შეფასება. ლექციების კურსი. 2016 წ.

[2] ხადური ნ. ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი. თბილისი, 2000.

თანამედროვე ეკონომიკაში ინოვაციის როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა და ერთ-ერთი პირველხრისხოვანი გახდა. ცნობილია, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში იგი კონკურენციის უმნიშვნელოვანეს იარაღს წარმოადგენს. ინოვაცია განაპირობებს: თვითღირებულების, ფასების შემცირებას, მოგების გაზრდას, ახალი მოთხოვნილებების შექმნას, ფულის მოდინებას, ახალი პროდუქციის მწარმოებელთა იმიჯის შექმნას, ახალი ბაზრების აღმოჩენას და დაპყრობას.

ინოვაციური პროცესი – ანუ მეცნიერული ცოდნის ინოვაციებად გარდაქმნის პროცესი, მთლიანობაში მოიაზრება, როგორც საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ახალ შესაძლებლობათა მუდმივ ძიებას, დასმული ამოცანების გადასაწყვეტად სხვადასხვა რესურსული წყაროების გამოძებნას, მოზიდვას და კვლავწარმოებით პროცესში ჩართვას, ასევე, ახალი მიდგომებისა და ტექნოლოგიების საშუალებით მეცნიერებატევადი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას. ინოვაციური საქმიანობა – ინოვაციურ საქმიანობას, წარმოების ტექნოლოგიური დონისა და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მხრივ, გადამწყვეტი მნიშნელობა აქვს. იგი ძირითადად, მიმართულია სამეცნიერო კვლევების შედეგების გამოყენებაზე, ვინაიდან სწორედ ასე მიიღწევა ახალი საქონლისა თუ მომსახურეობის მიღება, მათი წარმოების წესისა და შიდა და საგარეო ბაზარზე შემდგომი ეფექტიანი რეალიზაციის მიზნით.

ინოვაციური პოტენციალში (მაგალითად: საწარმოს, დარგის, სახელმწიფოს) მოვიაზრებთ, ინოვაციური საქმიანობის განხორციელებაში მონაწილე სხვადასხვა რესურსების ერთობლიობას. ცნობილია, რომ ინოვაციური პოტენციალი ეყრდნობა ინტელექტუალურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, საწარმოო, აგრეთვე, მატერიალურ და რაც მთავარია, ფინანსურ პოტენციალებს. ინოვაციაში გამოკვეთილად ახალ საგანს ან პროცესს ვგულისხმობთ, რომლის დანერგვა ინოვაციური წამოწყების შედეგია. სამეწარმეო სფეროში ინოვაციების ათვისება ბაზარზე არსებული მოთხოვნილებების ახალი პროდუქციით ან მომსახურების ახალი ნაირსახეობით დაკმაყოფილებას ნიშნავს, ასევე არსებული ნაწარმის (სერვისის) ახალი წესით წარმოებასაც.[3]

ინოვაციები, რომლებიც ორთოდოქსული და მარქსისტული მიდგომებით საზოგადოების განვითარების მთავარ „ძრავად" იყო მიჩნეული, ინსტიტუციონალური პარადიგმის ჩარჩოში განიხილება როგორც შედეგი ინსტიტუციური ინოვაციებისა, მათი მეშვეობით იქმნება მოთხოვნა ახალ ტექნოლოგიებზე და სწორედ ისინი ქმნიან სამეურნეო პრაქტიკაში მათი დანერგვის პირობებს. (სხვათა შორის, შესაძლებელია ტექნიკური სიახლეების უკუზემოქმედებაც ეკონომიკურ ინსტიტუტებზე, რაც განსაკუთრებით ძლიერდება უახლესი ისტორიის ეპოქაში).

დღეისათვის საქართველოში ერთ-ერთ ინოვაციურ ინსტიტუტად კომერციული ორგანიზაციები წარმოგვიდგება, რომელიც ჩვენი ქვეყნის მაგალითზე მეწარმეობის შედარებით ახალი მიმართულებაა თუმცა უკვე საკმაოდ პოპულარული - სოციალური მეწარმეობა. ჯერჯერობით მას არ შეუღწევია ბიზნეს სექტორში ისეთ დონეზე, რომ მსხვილ კორპორაციებად ჩამოყალიბებულიყო და აღნიშნულ ბიზნეს მოდელს პრაქტიკულად მხოლოდ არასამთავრობო სექტორი იყენებს.

სოციალურ მეწარმეობას, ისევე როგორც სხვა მრავალ მიმართულებას, საქართველოში თავისებური - შეცვლილი სახე მიეცა. საზოგადოებისათვის იგი აღიქმება, როგორც შშმ პირების დასაქმების საშუალება. ჩვენი აზრით, სოციალური მეწარმეობის აქტივობის სპექტრი ძალიან ფართოა და იგი გულისხმობს ისეთი საწარმოს შექმნას, რომელიც იქნება ფინანსურად თვითმყოფადი (საკუთარი თავის რჩენას შეძლებს).

სოციალური საწარმოს სოციალური მისია გააჩნია. იგი შექმნილია ორგანიზაციად, რომელიც ბიზნესის მიდგომებს საზოგადოებრივი პრობლემის ან პრობლემების მოსაგვარებლად იყენებს. ჩვეულებრივი, მხოლოდ მოგებზე ორიენტირებული, საწარმოსაგან განსხვავებით, სოციალურ საწარმოს აქვს ორმაგი მიზანი: პირველი - ეკონომიკური და მეორე - სოციალური. აქედან უმთავრესი კი, ვფიქრობთ, სოციალურია.

ცნობილია, რომ 2008-2015 წლების განმავლობაში, ევროპის ფონდი მხარს უჭერდა სოციალური მეწარმეობის დანერგვას და განვითარებას საქართველოში, იმ პერიოდისთვის, ეს გულისხმობდა ინკლუზიური ზრდისა და სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობას. სოციალური მეწარმეობის შინაარსის სიახლიდან გამომდინარე, ევროპის ფონდმა სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაცია ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად დაიწყო, იგი მოიცავდა საინფორმაციო კამპანიებს, სოციალური საწარმოების შესაქმნელად ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული პროექტების

[3] ა. ოქროცვარიძე, დ. ოქროცვარიძე მაგდა ვადაჭკორია – საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები თბილისი 2009, თავი 3.2, გვ 15.

შექმნას საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ასევე მთავრობისთვის. ევროპის ფონდმა ყოველწლიური კონკურსების მეშვეობით, შეძლო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, უნივერსიტეტებს, ბიზნესსა და საჯარო უწყებებს შორის ხანგრძლივი თანამშრომლობისთვის მყარი საფუძველის შექმნა.

აღსანიშნავია, რომ 2009 – 2015 წლებში სოციალური მეწარმეობის დაწყების მსურველი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ევროპის ფონდმა 4 ტრეინინგი ჩაატარა სოციალური მეწარმეობის შესახებ. აღნიშნულ ტრეინინგებში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების 89 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

ევროპის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით 11 სოციალური საწარმო შეიქმნა, აქედან მხოლოდ სამმა საწარმომ ვერ შეინარჩუნა მდგრადობა, ხოლო 8 საწარმო კვლავაც აგრძელებს მუშაობას და საერთო ჯამში, 86 ბენეფიციარს ასაქმებს (შშმ პირები, იძულებით გადაადგილებული პირები და ა.შ), რაც მათ საზოგადოებაში უკეთ ინტეგრირების საშუალებას აძლევს[4].

სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაციისათვის ევროპის ფონდისა და მისი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ გაწეული ძალისხმევის შედეგად, სოციალური მეწარმეობის მიმართ ინტერესი გაიზარდა და დღესდღეობით, როგორც მთავრობის, ისე სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ 50 სოციალურ საწარმოზე მეტი დაფინანსებულია.

აგრეთვე, სოციალური საწარმოებისათვის საგრანტო მხარდაჭერა გამოაცხადეს ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორებიცაა, „ადამიანი გაჭირვებაში" (People in Need), სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი (სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო), საქართველოს ბანკის საქველმოქმედო ფონდი „სიცოცხლის ხე", საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, ASB საქართველო, Hilfswerk Austria International, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია და ა. შ.

სამწუხაროდ, სოციალური საწარმოები საქართველოში აღიქმება, როგორც მხოლოდ შშმ პირების დასაქმებისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციის მიზნით შექმნილი საწარმო, მაგრამ მსოფლიოში უკვე არსებობს ისეთი მსხვილი კორპორაციების სახით, როგორიცაა: კომპანია „Bangura Bags" - აფრიკაში (siera lione), სერვისის წარმოება - კომპანია „Specialisterne" (იგი ასაქმებს აუტიზმის სპექტრის მქონე პირებს), სათემო სერვისის წარმოება - კომპანია „NextDrop" (სოციალური საწარმო ინდოეთში, ბანგალორეში) და სხვ.[5]

ჩვენი აზრით, ნებისმიერ სახელმწიფოში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, ინსტიტუციურ სიახლეებს (პრივატიზება, ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების შექმნა, ინოვაციურ სფეროში დემონოპოლიზაცია, მცირე მეწარმეობა და სხვ.) მნიშვნელოვანი როლი უნდა ენიჭებოდეს, ვინაიდან იგი მიმართულია, უპირველეს ყოვლისა, საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნისკენ, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობდა ინოვაციური საქმიანობის გააქტიურებას, უზრუნველყოფდა კონკურენტუნარიანი პროდუქტის წარმოებას და ნოვაციებისა და ტექნოლოგიების ათვისებას. ამასთან, ინსტიტუციური გარდაქმნები მიმართული უნდა იყოს ისე, რომ უპასუხოს სწრაფად ცვალებადი საბაზრო ეკონომიკის საჭიროებებს.

მსხვილ კორპორაციებში ინოვაციური საქმიანობის გააქტიურებასთან ერთად, მეტად სარგებლიანი იქნებოდა ხელშეწყობა მცირე სოციალური მეწარმეობის სტიმულირებისთვის, მათ შორის მსხვილი ფირმებიდან მცირე (ახალი) საწარმოების გამოყოფით. ეკონომიკის ზრდისა და განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად ადვილი და მიმზიდველია ახალი ბიზნესის წამოწყება და განვითარება. ეს დიდწილად სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკაზეა დამოკიდებული. თუმცა ახალი ბიზნესის შექმნა ასევე, დიდადაა დამოკიდებული მოქალაქეთა განათლების დონეზე და იმაზე, თუ რამდენად არიან ინოვაციებისადმი მიდრეკილნი.

[4] http://www.edu.gber.ge/uploads/files_25_1.pdf გადამოწმებულია 02.06.2018.

[5] იქვე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თოთლაძე ლ.,ბიზნესის შეფასება. ლექციების კურსი. 2016 წ.
2. სილაგაძე ა., ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2001.
3. ა. ოქროცვარიძე, დ. ოქროცვარიძე მაგდა ვადაჭკორია, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, თბილისი 2009, თავი 3.2 გვ 15;
4. ჩიქავა ლ. „ინოვაციური ეკონომიკა" 2006.
5. ხადური ნ. ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი. თბილისი, 2000;
6. ჯოლია გ., „კრეატიული ეკონომიკა", თბილისი, 2015.
7. http://www.edu.gber.ge/uploads/files_25_1.pdf 02.06.2018

USED LITERATURE:

1. Totladze L., Business Assessment Lecture course. 2016.
2. Silagadze A., Issues of Economic Opinion History, Tbilisi, University Publishing House, Tb. 2001.
3. A. Okrotscadze, d. Okrootsvadze M. Vadachkoria - Foreign Economic Relations Tbilisi 2009, Chapter 3.2 p. 15.
4. Chikava L. "Innovative Economy" 2006.
5. Khaduri N. Peculiarities of forming economic policy. Tbilisi, 2000.
6. Jolia G., "Creative Economics", Tbilisi, 2015.
7. http://www.edu.gber.ge/uploads/files_25_1.pdf 02.06.2018

CREATIVE OPINION - THE PREREQUISITE OF INSTITUTIONAL INNOVATIONS

TASO GETASHVILI
PhD of GTU
E-mail: tasogetashvili@hotmail.com

Summary

The role of innovation in the modern economies has grown significantly and became one of the top priorities. In terms of market economy, it is the foremost weapon of competition.

The society is standing in front of alternatives, between market and social wealth. In order to achieve the maximum benefit, it is necessary to satisfy the need for both assets, which is achieved by optimal ratio of the state and private sectors. The role and functions of the institutional sector in the country are distinguished by diversity. Results of correctly selected and implemented events will ultimately be reflected in the social and economic life of the society.

Keywords: social enterprise, economy development, innovation, institutional news, social consequences.